საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
LEPL LABOUR INSPECTION OFFICE

KA030436387819822

საქართველო, თბილისი 0186, მიხეილ თამარაშვილის ქ. 15ა; ცხელი ხაზი 1505; ელ.ფოსტა: infolio@moh.gov.ge
Mikheil Tamarashvili str 15a, 0186 Tbilisi, Georgia; Hot line 1505; E-mail: infolio@moh.gov.ge

№ 09/266 **26 / იანვარი / 2022 წ.**

პორტალ "askgov.ge"-ს მომხმარებელ ნინოს

ელ.ფოსტა: foi+request-125-e6dfdbe1@askgov.ge

ქალბატონო ნინო,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით შესული N3904 წერილის (14.01.2022), (სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში რეგისტრირებული N280 განცხადება, 20.01.2022) პასუხად, რომელიც გაზიარებულ იქნა პორტალ "askgov.ge"-ს საშუალებით, გაცნობებთ შემდეგს:

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებას ახორციელებს "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შრომის ინსპექციის სამსახურის საქმისწარმოების (მათ შორის დოკუმენტბრუნვის ერთიანი სისტემის საშუალებით) წესის/სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარი შრომის ინსპექტორის 2021 წლის 08 დეკემბრის № 09-552/ო ბრძანების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც შრომით უფლებებზე ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებული ინსპექტირებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია არსებული მდგომარეობით მუშავდება რეგიონულ, ეკონომიკური საქმიანობის, დარღვევების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ-შრომის ისნპექციის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაგიზიაროთ გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაცია გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში. აქვე მოგახსენებთ, რომ დამუშავების ეტაპზე 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც უახლოეს მომავალში იქნება გასაჯაროებული სამსახურის მხრიდან.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ნათია ბუბუტეიშვილი